საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

F 1821

10-11

ოქტომბერი — ნოემბერი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 55

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1628

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 24 სექტემბერი

სკოლებში ჰიგიენის საკითხების სწავლებისა და მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ჰიგიენურ აღზრდას; ადგილი აქვს ჰიგიენის საკითხების სწავლების შეუფასებლობას; არ წარმოებს საპროგრამო მასალის სწავლების პროცესში თვალსაჩინოებათა გამოყენება, განვლილი მასალის აღრიცხვა, ღია გაკვეთილების მოწყობა და მეთოდური კომისიების სხდომებზე ჰიგიენის საკითხების სწავლების განხილვა-დამუშავება.

ბევრ სკოლაში სუსტადაა გაშლილი პროპაგანდა ჰიგიენის საკითხებზე მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებს შორის.

ჰიგიენის საკითხების სწავლების, მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის უკეთ დაყენებისა და ორგანიზებისათვის, აგრეთვე მასწავლებლებსა და მშობლებს შორის სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდის გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1) გააძლიერონ დახმარება და კონტროლი სკოლებში ჰიგიენის საკითხების სწავლებისა და მოსწავლეთა შორის ჰიგიენური საქმის დაყენებაზე. აამაღლონ სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობა ამ მუშაობის გაუმჯობესებისათვის. 1955—56 სასწავლო წლის პირველ ნახევარში, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად სკოლებში

(შერჩევით) ჩაატარონ ჰიგიენის საკითხების სწავლების და მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის მდგომარეობის შემოწმება;

2) დაავალონ სასკოლო ინსპექტორებს სისტემატურად შეამოწმონ სასწავლო პროგრამების მოთხოვნათა შესაბამისად ჰიგიენის საკითხების სწავლების, მოსწავლეთა მშობლებს შორის სანიტარული განათლების დანერგვისა და საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1953 წლის 23/XI-ს სადირექტივო წერილის (№ 225 „სანიტარული განათლებისა და ჰიგიენის საკითხების სწავლების გაუმჯობესების შესახებ") და ამავე სამინისტროების 1955 წლის 16 ივლისის ბრძანების (№ 319/1552 „სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის განმტკიცების შესახებ") შესრულების მდგომარეობა;

3) მჭიდრო კავშირი დაამყარონ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან, სანიტარული განათლების სახლებსა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურებთან და მათთან ერთად გამოიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი მასწავლებელთა ჰიგიენური მომზადების დონის აშაღლებისა და მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის გასაუმჯობესებლად;

4) პიონერთა სასახლესა და სახლებში გადამჭრელი ზომები მიიღონ სანიტარული განათლების დარგში გეგმიანი მუშაობის მოსაწყობად, (სანიტარულ-საგანმანათლებლო კინოფილმებისა და დიაფილმების ჩვენება, მოსწავლეთა ჰიგიენის და დღის რეჟიმის შესახებ გამოფენის მოწყობა და სხვ.);

5) კინოფიცირებულ სკოლებში მოაწყონ სანიტარული განათლების ფილმების რეგულარული დემონსტრირება;

6) ფართოდ გამოიყენონ ბაღები, სკვერები, ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკები და სხვ., სანიტარულ-განმანათლებელი ღონისძიებების ჩასატარებლად (პლაკატების, ვიტრინებისა და ფოტოგამოფენების მოწყობა);

7) მიიღონ გადამჭრელი ზომები პრესისა და რადიოს საშუალებით მშობელთა შორის სანიტარული განათლებისა და სკოლასა და ოჯახში მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის პროპაგანდისათვის;

8) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად დიდ სკოლებთან ჩამოაყალიბონ სამედიცინო ლექტორიუმები მშობელთათვის.

II. სკოლების ხელმძღვანელებმა გადაჭრით გააუმჯობესონ ჰიგიენის საკითხების სწავლება სასწავლო პროგრამის შესაბამისად

დაწყებითი სკოლის I, II, III და IV კლასებში და უფროს კლასებში ანატომიისა და ფიზიოლოგიის კურსის შესწავლასთან დაკავშირებით. ამ მიზნით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) ჰიგიენის საკითხების სწავლების პროცესში ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინოებანი (ცხრილები, ფოტოსურათები, პლაკატები და სხვ.);

2) ჰიგიენის საკითხებზე წელიწადში ორჯერ მოაწყონ ღია გაკვეთილები და პრაქტიკაში შემოიღონ მეთოდკომისიების სხდომებზე ჰიგიენის საკითხების განხილვა-დამუშავება, ხელი შეუწყონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას;

3) ოპერატულად უხელმძღვანელონ მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის საქმეს, მუდმივი კავშირი დაამყარონ სკოლის ექიმთან და ყველა პირობა შეუქმნან მას მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა შორის სანიტარულ-ჰიგიენური მუშაობის გასაშლელად;

4) სკოლის ექიმსა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად რეგულარულად ჩაატარონ ლექცია-საუბრები მშობლებისათვის ჯანმრთელობის დაცვისა და მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის საკითხებზე;

5) მოაწყონ სანიტარული განათლების კუთხე და სისტემატურად აწარმოონ ჯანდაცვისა და ჰიგიენის საკითხებზე სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურით სკოლის ბიბლიოთეკის შევსება.

III. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. დ. ლორთქიფანიძე) 1956 წლის 1 დეკემბრისათვის მოამზადოს და გამოსცეს მოსწავლეთათვის სავალდებულო პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესები.

IV. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) 1955—56 სასწავლო წლის მეორე ნახევარში შეამოწმოს ზოგიერთი სკოლის მუშაობა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა სანიტარული განათლების დარგში და შემოწმების შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

V. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) მოამზადოს მიმდინარე წლის ბოლოსათვის მეთოდური სახელმძღვანელო საბავშვო სახლის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე.

VI. ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციამ სისტემატურად გამოაქვეყნოს სტატიები და მეთოდური ხასიათის წერილები I—IV კლასებში ჰიგიენის საკითხების სწავლებისა და მოსწავლეებში სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების გამომუშავების საკითხებზე.

VII. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ სისტემატურად გააშუქოს გაზეთის ფურცლებზე ბავშვთა ჰიგიენური აღზრდისა და მშობლების სანიტარული განათლების საკითხები.

VIII. საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ 1956 წლის საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს სასკოლო ჰიგიენის საკითხებზე ლიტერატურის გამოცემა მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. გურჯულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1674

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 5 ოქტომბერი

საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1955-56 სასწავლო წლის შედეგების შესახებ

გავეცანი რა საბავშვო სახლებისა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებიდან წარმოდგენილ მასალებს აღვნიშნავ, რომ საბავშვო სახლებმა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებმა გასული 1954/55 სასწავლო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს.

წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, გეგმით გათვალისწინებულ 3550 აღსაზრდელის ნაცვლად ფაქტიური რაოდენობა შეადგენს 3328, აქედან 3019 სასკოლო და 309 სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელია. სასკოლო ასაკის 3019 აღსაზრდელიდან სკოლაში ჩაბმულია 2978, მათ შორის შეფასებულია 2889. ამათგან ყველა საგანში ასწრებს 2817, (საშემოდგომო გამოცდების შედეგების ჩათვლით). ხუთზე ასწრებს—314, ოთხზე—654, სამზე—1807, დატოვებულია იმავე კლასში 72.

ამრიგად, აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება უდრის 94,3%-ს.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა იმ საბავშვო სახლების რიცხვი, რომლებიც აღწევენ 100%-იან მოსწრებას. 100%-იან მოსწრებას მიაღწია 16 საბავშვო სახლმა და ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატმა (ახალციხის, ბორჯომის, კოჯრის № 4, ონის, სურამის, მახინჯაურის და სხვა საბავშვო სახლები).

მაღალი აკადემიური წარმატებები აქვს აგრეთვე მოპოვებული კოჯრის № 5 და № 6, ნორიოს საბავშვო სახლებსა და ქ. თბილისის ყრუმუნჯთა სკოლა-ინტერნატს.

მასწავლებლები ბ. ფეიქრიშვილი (ქ. თბილისის № 1 დამხმარე

სკოლა-ინტერნატი), ა. კუკულაძე, ლ. იასინსკაია (ქ. თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატი) მ. ჯაბრიელოვა, აღმზრდელი — შ. გოგიჩაიშვილი (ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი), მასწავლებელი ნ. ასამბაძე, ე. ბაქრაძე (ქ. თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატი), მ. მასხალია, პ. ჯანჯღავა (გეგეჭკორის საბავშვო სახლი), ე. ვართანოვი, ნ. არუთინოვი. თ. ჭიჭიაშვილი (თელავის საბავშვო სახლი) და მრავალი სხვ. სათანადო მუშაობას ეწევიან აღსაზრდელთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისა და მაღალი წიგნიერების მისაღწევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინიმუმამდეა დაყვანილი აღსაზრდელთა უმიზეზოდ გაცდენადაგვიანებისა და საბავშვო სახლიდან უნებართვოდ გასვლის შემთხვევები. გაძლიერდა საშეფო ორგანიზაციების მუშაობა. განსაკუთრებით ეს ითქმის ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნისა, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და ქ. თბილისის ტრამვაიტროლეიბუსების სამმართველოს შესახებ, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს კოჯრის № 1, № 5 და № 6 საბავშვო სახლებს კეთილმოწყობაში.

პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებით მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ გადამზადდა აღმზრდელ-მასწავლებელთა და შრომის ინსტრუქტორთა შემადგენლობის საგრძნობი ნაწილი.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის ისეთი საბავშვო სახლები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვა. თამარაშენის საბავშვო სახლის 47 აღსაზრდელიდან, მხოლოდ ერთი ასწრებს ხუთზე. ცამეტი აღსაზრდელი კი ოროსანია; ლენინგორის საბავშვო სახლის 45 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს — 8, სიღნაღის 60 აღსაზრდელიდან — 7.

უმეტეს საბავშვო სახლებში შრომითი აღზრდისა და სწავლების საქმე ფორმალურ ხასიათს ატარებს. კოჯორის № 3 და № 7 საბავშვო სახლების აღსაზრდელთა მხოლოდ ნახევარია შრომითს სწავლებაში ჩაბმული; ბორჯომისა და ახალციხის საბავშვო სახლებში შრომის ოთახები არაა უზრუნველყოფილი საჭირო ხელსაწყოიარაღებით, ხოლო ჩოხატაურისა და ქ. თბილისის ვაკის საბავშვო სახლებში შრომითი ოთახები არაა მოწყობილი.

ზოგ საბავშვო სახლში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სამედიცინო მომსახურების საქმეს. ადგილი აქვს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დარღვევის შემთხვევებს (კოჯრის № № 3,4 და

ნორიოს საბავშვო სახლები). საექიმო პერსონალის მიერ არ ხდება ახლადმიღებულ აღსაზრდელთა საექიმო გასინჯვა და თანამშრომელთა საექიმო შემოწმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო სახლის დირექტორები ქმედით ზომებს არ ღებულობენ ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა სამუშაოზე მოწყობისათვის,

ზუგდიდის, ახალციხის, გეგეჭკორის და ლენინგორის საბავშვო სახლის დირექტორები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან განათლების სამინისტროში საჭირო მასალების დროულად წარმოდგენის საქმეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების დირექტორებმა უმოკლეს დროში გარდაქმნან მუშაობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1955 წლის 10 სექტემბრის № 1578 ბრძანების საფუძველზე.

2. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ.ი. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 30 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჯულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1783

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 29 ოქტომბერი

საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ

საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ მ/წლის მესამე კვარტალში შემოწმებულია ახალციხის, განთიადის, ახალქალაქის, ზედარგანის, თელავის, შუამთისა და ქ. თბილისის ვაკის საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და ჩატარებულია დოკუმენტალური რევიზიები. ამავე კვარტალში ბორჯომის და ნორიოს საბავშვო სახლებსა და ქ. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატში ჩატარებულია მოულოდნელი რევიზია.

ბორჯომის საბავშვო სახლისა და ქ. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატის მოულოდნელი რევიზიის შედეგები განხილულია კოლეგიის მიერ და მიღებულია სათანადო გადაწყვეტილება.

ახალციხის, ახალქალაქის, განთიადის, ზედარგანის, თელავის, შუამთის და ქ. თბილისის ვაკის საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობასა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ვაკის, ახალქალაქის, განთიადისა და თელავის საბავშვო სახლებში სასწავლო მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად ადგილი აქვს მეორეწლიანობას. ვაკის საბავშვო სახლში სასწავლო წლის ბოლოსათვის ვერ ასწრებდა 2 აღსაზრდელი, განთიადის საბავშვო სახლში—4, თელავში—2, ახალქალაქში—2.

ახალქალაქის, შუამთის, ვაკისა და ახალციხის საბავშვო სახლებში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შენობებისა და კარმიდამოს სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. შემოწმების მომენტში ვაკის საბავშვო სახლის სამზარეულო ანტისანიტარულ მდგომარე-

ობაში იყო. ახალქალაქის საბავშვო სახლში თეთრეულის გამოცვლა და აღსაზრდელთა ბანაობა, ნაცვლად წესდებით გათვალისწინებულ 7 დღისა, სწარმოებს ყოველ 10 დღეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაკის საბავშვო სახლის 23 თანამშრომლიდან 15 თანამშრომელს არ აღმოჩნდა საექიმო კომისიის ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. სამედიცინო შემოწმება არ აქვთ გავლილი საბავშვო სახლის დირექტორს ნ. ბახტაძეს და მნეს ა. შერვაშიძეს.

შუამთის საბავშვო სახლში არ არის მოწყობილი პირსაბანი. აღსაზრდელებში არაა გამომუშავებული კულტურულ-ჰიგიენური ჩვევები. ვაკის საბავშვო სახლში ადგილი აქვს აღსაზრდელთა დღის რეჟიმის დარღვევის შემთხვევებს.

ახალქალაქის, ვაკისა და განთიადის საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა შრომითი სწავლება ფორმალურ ხასიათს ატარებს. შრომის ინსტრუქტორები არ მუშაობენ დამტკიცებული პროგრამებით და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ აღსაზრდელებში შრომითი ჩვევების დანერგვის საქმეს.

მოუწესრიგებელია ბიბლიოთეკების მუშაობა. ახალციხის, ვაკისა და ზედარგანის საბავშვო სახლებში.

ზოგი საბავშვო სახლიდან (განთიადის, ვაკის) ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა გაყვანა არაა დამთავრებული.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს ახალქალაქის და განთიადის საბავშვო სახლების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას.

განთიადის საბავშვო სახლის დირექცია ხშირად ნაღდ ანგარიშზე იძენს სამრეწველო საქონელს. ამავე საბავშვო სახლის ბუხჰალტერია არასწორად აწარმოებს შრომის უუნარობის ფურცლების გაღდებას. საბუხჰალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებაში ადგილი აქვს დარღვევებს.

ახალქალაქის საბავშვო სახლის ანგარიშწარმოება მოუწესრიგებელია. საფინანსო დოკუმენტების გაფორმებას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, ადგილი აქვს თანხების დიდი რაოდენობით გადახარჯვებსა და აუთვისებლობას.

საბავშვო სახლის ყოფილმა ბუხჰალტერმა ლ. მამაცოვმა და ყოფილმა მნემ გიგაურმა სხვადასხვა დოკუმენტების არასწორად გაფორმებით მიითვისეს 868 მანეთი.

თელავის, შუამთის, განთიადის, ახალქალაქისა და ვაკის საბავშვო სახლების აღსაზრდელთა კვება არადამაკმაყოფილებელია. განთიადის საბავშვო სახლს 1955 წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე სა-

ვაჭრო ორგანიზაციებმა დააკლეს 927 კვერცხი, 251 კგ. კარაქი, 37 კგ. ყველი, 5770 კგ. კარტოფილი და ბოსტნეული, 284 კგ. თევზი, 3814 ლიტრი რძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალქალაქის საბავშვო სახლმა 1955 წლის პირველ ნახევარში ვერ მიიღო 165 კგ. ხორცი, 1097 კვერცხი, 265 კგ. ბურღული, 4450 კგ. კარტოფილი და ბოსტნეული, 1459 ლიტრი რძე და სხვა.

ანალოგიური მდგომარეობაა დანარჩენ საბავშვო სახლებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ქ. თბილისის ვაკის, განთიადის, ახალქალაქის, თელავისა და შუამთის საბავშვო სახლების დირექტორებს უზრუნველყონ ამ ბრძანებასა და სარევიზიო მასალებში დასახელებული დეფექტების სასწრაფოდ გამოსწორება.

2. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენებისათვის გამოეცხადოს საყვედური ვაკის საბავშვო სახლის დირექტორს ამხ. ნ. ბახტაძეს.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ახალქალაქის საბავშვო სახლის ბუხჰალტერი დ. მამაცოვი და მნე გ. გიგაური მოხსნილი არიან სამუშაოდან და მათ მიერ მითვისებული თანხა დაფარულია.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 28 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1797

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 2 ნოემბერი

ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგებს აღვნიშნავ, რომ ბევრ მასწავლებელს თავის მუშაობაში გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული. განათლების განყოფილება სისტემატურად ამოწმებს სკოლებს და ეხმარება მათ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ვ. ტუჩაშვილი, თ. დავითაშვილი (ყაზბეგის საშუალო სკოლა), რ. ოდიშვილი (სიონის საშ. სკოლა), ე. თოდუა (სნოს რვაწლ. სკოლა), ნ. ჩქარეული, ტ. კობაიძე (გორისციხის რვაწლ. სკოლა), ნ. მარსაგიშვილი (კარკუჩის დაწყ. სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: თ. ზაქაიძე, ლ. ღუდუშაური (ყაზბეგის საშ. სკოლა), ლ. გოგრიჭიანი, რ. ხულელიძე (სიონის საშ. სკოლა), გ. ჩქარეული (გორისციხის რვაწლ. სკოლა), გ. მარსაგიშვილი (არშის რვაწლ. სკოლა); გერმანული ენის მასწავლებლები, ა. წიკლაური (ყაზბეგის საშ. სკოლა), ჟ. ალიბეგაშვილი (სიონის საშ. სკოლა); მათემატიკის მასწავლებელი თ. მახათაძე (ყაზბეგის საშ. სკოლა); ბიოლოგიის მასწავლებელი თ. ჩოხელი (სიონის საშ. სკოლა) და სხვ.

მაგრამ ყაზბეგის რაიონის სკოლებისა და განათლების განყოფილების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სასწავლო წელი ყაზბეგის საშუალო სკოლამ (დირექტორი შ. სეთურიძე), სადაც 380 მოსწავლიდან 70 მეორეწლიანია.

ზოგიერთი მასწავლებელი სათანადოდ არ არის დაუფლებული საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს. მათი გაკვეთილების თეორიული და პედაგოგიური დონე დაბალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგის საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელმა ქ. ღუდუშაურმა ქართული ენის გაკვეთილზე მოსწავლეებს არ განუმარტა მათთვის გაუგებარი სიტყვები და გაკვეთილი ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე ჩაატარა. სიონის საშუალო სკოლის მასწ. ვ. კვირჭაშვილმა დაბალ იდეურ დონეზე ჩაატარა გაკვეთილი VII კლასში. არშის რვაწლიანი სკოლის მასწ. ნ. ხოსრიშვილმა VI კლასში ვერ შესძლო წიგნების გარეშე ზმნისწინიანი სიტყვების დაწერა. ამ სკოლის VI და VII კლასების მოსწავლეებს მექანიკურად აქვთ გაზეპირებული გრამატიკის წესები, არ აქვთ მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარი, არ შეუძლიათ მოქმედ პირთა დახასიათება, ლექსის მხატვრულად წაკითხვა. დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა.

გორისციხის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ლ. ოდიშვილი ნაწარმოების ტექსტის სწავლებისას ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეებისათვის გაუგებარი სიტყვების ახსნას.

ყაზბეგის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი გ. ჩეკაშვილი გაკვეთილზე დიდ დროს ანდომებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოკითხვას და არ რჩება დრო ლიტერატურულ ნაწარმოების ტექსტზე მუშაობისათვის. ზემოაღნიშნული მასწავლებლები ფორმალურად ადგენენ გაკვეთილის გეგმებს, წინასწარ არ იხილავენ გრამატიკულად გასარჩევ წინადადებებს, VIII კლასებში ცალცალკე არ ატარებენ ენისა და ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებს.

არშის რვაწლიანი სკოლის გერმანული ენის მასწავლებელმა ა. ხუციშვილმა (განათლებით ისტორიკოსი) არ იცის საგანი. იგი დაუფლებული არაა უცხო ენის სწავლების ხერხებსა და მეთოდებს, ტექსტის კითხვისას უშვებს უხეშ შეცდომებს. ამ სკოლის VII და VIII კლასების მოსწავლეებმა არ იციან პროგრამული მასალა, მათ არ აქვთ სიტყვათა მარაგი, უჭირთ კითხვა; მოსწავლეები ძალზე უსუფთაოდ წერენ. უცხო ენაში ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს კობის რვაწლიანი სკოლის VI და VII კლასების მოსწავლეებმა.

არშისა და სნოს რვაწლიანი სკოლების V კლასების მოსწავლეთა მომზადების დონე არითმეტიკაში დაბალია (მასწავლებლები ტ. ბაზ-

ალი, ო. შიოლაშვილი). მასწ. ტ. ბაზალი გაკვეთილებს დაბალ დონეზე ატარებს, მოსწავლეებს ნაკლებად ავარჯიშებს ამოცანების ამოხსნაზე, საკონტროლო ნაწერებში მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს ვერ ასწორებს და ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებს.

ალგებრაში დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს სიონის საშუალო სკოლის IX—X კლასების მოსწავლეებმა (მასწ. შ. გელაშვილი).

ასევე დაბალია კობის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე გეომეტრიაში. მასწ. ხ. ტუაევი ნაკლებად ავარჯიშებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე. გორისციხის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწ. გ. სუჯაშვილი VI — VII კლასებში გეომეტრიის სწავლებისას მიმართავს ლექციურ მეთოდს. მათემატიკის ზემოაღნიშნული მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ გეომეტრიის სწავლებისათვის თვალსაჩინოებას და არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს პრაქტიკული სახის ამოცანების ამოხსნაზე.

რაიონის ბევრ სკოლაში არ არის შექმნილი სათანადო პირობები პოლიტექნიკური სწავლების წარმატებით განხორციელებისათვის. საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლება ვერ პასუხობს სკოლის წინაშე დასმულ ახალ ამოცანებს. ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის არ არის გამოყოფილი ცალკე ოთახები, არ სწარმოებს კაბინეტების შევსება აუცილებელი ხელსაწყო-იარაღებით და მასალებით, რის გამოც აღნიშნული საგნები ლაბორატორული ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოების გარეშე ისწავლება. სკოლებში არაა მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები (ყაზბეგის, სიონის საშუალო, სნოს, გორისციხისა და არშის რვაწლიანი სკოლები).

სიონის საშუალო სკოლაში ფიზიკას ასწავლის ქიმიის მასწავლებელი თ. ავსაჯანიშვილი, იგი არ არის დაუფლებული ფიზიკაში სადემონსტრაციო და ლაბორატორული ცდების ჩატარების ტექნიკას. VI — VII კლასების მოსწავლეები მექანიკურად იზეპირებენ წესებს, ვერ არკვევენ დამოკიდებულებას მოცულობისა და წონის შორის, ვერ ახერხებენ უმარტივესი სახის ამოცანების ამოხსნას, ყაზბეგის საშუალო სკოლის ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებელი გ. კურკუმელი სრულიად უმწეოა, როგორც ამ საგნის მასწავლებელი. კლასთან მუშაობისას მან დაშალა უნივერსალური

გალვანომეტრი, ვეღარ შეძლო მისი აწყობა და სამუდამოდ გამოიყვანა მწყობრიდან.

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ქიმიაში სიონის საშუალო სკოლის XI (მასწავლებელი თ. ავსაჯანიშვილი) და VIII კლასების (მასწავლებელი ა. მანთაშევა) მოსწავლეებმა. მათ არ იციან პროგრამული მასალის ძირითადი საკითხები. მოსწავლეები ვერ ხსნიან ქიმიურ მოვლენებს, მათ არ აქვთ პრაქტიკული მუშაობის ელემენტარული ჩვევები. სნოს რვაწლიანი სკოლის მასწ. ვ. ყამარაული (იურისტი) არ არის დაუფლებული საგანს, არ იცის ცდების ჩატარების ტექნიკა, უჭირს რეაქტივების გამოცნობა.

ყანობის რვაწლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელ ნ. კობიაშვილს (განათლებით გეოგრაფი) ჯერ კიდევ არ დაუწყია VII კლასში პროგრამული მასალა. დღემდე იგი VI კლასის კურსს იმეორებს. გავლილი მასალიდან მოსწავლეებმა არ იციან უჯრედის აგებულება, ავადმყოფობის გადამტანი მწერები და მათ წინააღმდეგ ბძოლის საშუალებანი.

არაორგანიზებულად ტარდება პრაქტიკული მუშაობის გაკვეთილები სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე ყაზბეგის საშუალო (მასწავლებელი მ. სეთურიძე) და ყანობის რვაწლიან (მასწავლებელი — ნ. კობიაშვილი) სკოლებში. მოსწავლეები არ არიან დაყოფილი რგოლებად, არ ტარდება მათთან წინასწარი საუბარი. სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო მასალით და ხელსაწყო-იარაღებით.

ყაზბეგის საშუალო სკოლის X კლასში სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმი ზეპირსიტყვიერად ტარდება. მასწავლებელი მ. ოდიშვილი არ იყენებს მახლობელ მეცხოველეობის ფერმას სწავლების პრაქტიკასთან დასაკავშირებლად.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ფიზიკის, ქიმიისა და ნორჩ ნატურალისტთა წრეები. აღნიშნულ წრეებში მეტნაწილად თეორიული მოხსენებები ტარდება. მათი მუშაობის პრაქტიკიდან გამორიცხულია ექსპერიმენტის ჩატარება.

სუსტად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდური კომისიები. ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები სრულებით არ არიან ჩაბმული მეთოდურ მუშაობაში (ყაზბეგის, სიონის საშუალო, სნოს, არშისა და ყანობის რვაწლიანი სკოლები).

ერთფეროვანია სკოლის წლიური სამუშაო გეგმები, ეს გეგმები არ ითვალისწინებენ სკოლაში ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შესწავლას და სასწავლო მუშაობის გაუმჯობესების სხვა აუცილებელ ღონისძიებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტია პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. საბჭოს სხდომებზე არაა განხილული ათწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში შეტანილი ცვლილებები და პოლიტექნიკური სწავლების შესახებ სკოლების წინაშე დასახული ახალი ამოცანები.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ კლასის ხელმძღვანელები, მათ მიერ შედგენილი სამუშაო გეგმები ტრაფარეტულია.

სკოლების ხელმძღვანელები მშობელთა კომიტეტებს ვერ იყენებენ სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში.

სათანადო ყურადღება არ ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებას. ყაზბეგის საშუალო სკოლის მიკროორაიონში სწავლებაში ჩაუბმელია 16 ბავშვი და მოზარდი. კობის რვაწლიანი სკოლიდან განთესილია 6, ხოლო არშის რვაწლიანი სკოლიდან 3 მოსწავლე.

მოსწავლეთა დიდი ნაწილი არასაპატიო მიზეზით აცდენს გაკვეთილებს. ყაზბეგის საშუალო სკოლაში 1 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე 431 მოსწავლის მიერ გაცდენილია 2638, სიონის საშუალო სკოლის 307 მოსწავლის მიერ—1187 და გორისციხის 154 მოსწავლის მიერ 357 გაკვეთილი.

კარკუჩის დაწყებითი სკოლის გამგე—მასწავლებელი ქ. ყამარაული განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორის მისვლისას მეცადინეობის საათებში თვითონ არ აღმოჩნდა სკოლაში და არც ბავშვები იყვნენ გაკვეთილებზე.

ყაზბეგისა და სიონის საშუალო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში არ არის შექმნილი ცხოვრებისა და მეცადინეობის ნორმალური პირობები. ინტერნატები უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო დგამ-ავეჯით, არასაკმაო რაოდენობით აქვთ ლოგინები. მოუგვარებელია ცხელი საჭმელით კვების საქმე.

სასკოლო ბიბლიოთეკები არ არიან უზრუნველყოფილი ბინით. ყაზბეგის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა პიონერთა ოთახშია, ხო-

ლო სნოს, გორისციხისა, და არშის რვაწლიანი სკოლების ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი სამასწავლებლოშია მოთავსებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუგვარებელია მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საკუთრებიმეები. მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ აქვს დაბადების მოწმობები. ზოგიერთი მასწავლებლის პირად საქმეში არ არის დანიშვნის ბრძანების ასლები, ცენზის დამადასტურებელი საბუთები და ფოტოსურათები (სიონის საშუალო, ყანობის და სნოს რვაწლიანი სკოლები).

ყურადღება არ ექცევა სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვისა და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის საკითხებს. განათლების სამინისტროს ბრძანების (№ 204) შესაბამისად არ ტარდება ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, არ იგზავნებიან სუსტი ჯანმრთელობის ბავშვები სკოლასანატორიუმებში, არ არის ორგანიზებული სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებზე სპეციალისტების საშუალებით ლექცია-საუბრების ჩატარება, მოსწავლეთა და სკოლის მუშაკთა რენტგენოლოგიური შემოწმება (კობის რვაწლიანი და კარკუჩის დაწყებითი სკოლები).

სახალხო განათლების საბჭოზე არ არის განხილული პოლიტექნიკური სწავლებისათვის სკოლების მატერიალური ბაზით უზრუნველყოფის საკითხები. განათლების განყოფილება სათანადო ორგანიზაციას ვერ უკეთებს სკოლებისადმი საწარმოთა შეფობის საქმეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ითონიშვილმა:

ა) ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს სკოლებს ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების საქმეში და უზრუნველყოს სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება;

ბ) სისტემატურად იზრუნოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; სათანადო დახმარება აღმოუჩინოს ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტ მასწავლებლებს და სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით გაატაროს საჭირო ღონისძიებანი;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პოლიტექნიკური სწავლების დანერგვისათვის სკოლების მატერიალური ბაზით უზრუნველყოფის საქმეს და განათლების მინისტრის 1955 წლის 18

ივნისის ბრძანების (№ 1096) განსახორციელებლად მჭიდრო კავშირი დაამყაროს რაიონის წარმოება-დაწესებულებებთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ქმედითი და ოპერატული გახადოს სახალხო განათლების საბჭოს მუშაობა;

ე) მომავალში არ დაუშვას ისეთი შემთხვევები, როცა ამა თუ იმ საგანს არასპეციალისტები ასწავლიან;

ვ) დასახოს და განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებანი საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და საქართველოს სსრ განათლების მინისტრების 1955 წლის 16 ივლისის (№ 319/1353) ბრძანების შესასრულებლად.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ მეთოდკომისიების სხდომებს, მეთოდურ მუშაობაში ჩააბან ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლები და ხელი შეუწყონ მათ პედაგოგიურ დახელოვნებას;

ბ) მომზადებულად ჩაატარონ პედაგოგიური საბჭოს სხდომები;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებას, სისტემატურად იზრუნონ სახელოსნოების, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა-შევსებისა და სასწავლო-საცდელი ნაკვეთების კეთილმოწყობისათვის.

დ) ქმედითი ღონისძიებები გაატარონ მოსწავლეების მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის წინააღმდეგ;

ე) სკოლებთან არსებულ ინტერნატებში შექმნან ნორმალური ცხოვრებისა და მეცადინეობისათვის აუცილებელი პირობები.

ვ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის რეჟიმის განმტკიცებისათვის;

ზ) აღმოფხვრან ფორმალიზმი მშობელთა კომიტეტების მუშაობაში.

3. მასწავლებლებმა: სისტემატურად იზრუნონ გაკვეთილების მაღალი ხარისხისათვის, ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინოება, მტკიცედ დააკავშირონ სწავლება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პრაქტიკასთან და უზრუნველჰყონ სკოლის წინაშე მდგარი ახალი ამოცანების შესაბამისად ცალკეული დისციპლინების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

4. განათლების სამინისტროს საგეგმო საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) გაითვალისწინოს ყაზბეგის რაიონის სკოლების მატერიალური ბაზის განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა და შესაძლებლობის მიხედვით გაადიდოს ამ მიზნისათვის გათვალისწინებული თანხები.

5. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ გადასინჯოს ყაზბეგის რაიონის სკოლების მასწავლებელთა კადრები და მიიღოს, საჭირო ზომები სათანადო კვალიფიკაციის მუშაკებით სკოლების შესავსებად.

6. ჩამოერთვათ გაკვეთილები: არშის რვაწლიანი სკოლის არითმეტიკის მასწავლებელს ტ. ბაზალს, გერმანული ენის მასწავლებელს ა. ხუციშვილსა და სნოს რვაწლიანი სკოლის ქიმიის მასწავლებელ ვ. ყამარაულს, როგორც ამ საგნების არასპეციალისტებს.

7. აღინიშნოს კარკუჩის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლის ქ. ყამარაულის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება დავალებული საქმისადმი და მიეცეს მას გაფრთხილება.

8. მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის საკითხების მოუგვარებლობისათვის კობის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ე. შავლოხოვს მიეთითოს.

9. საგნის სწავლების არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის მიეთითოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ვ. კვირჭიშვილს (სიონის საშ. სკოლა), ქ. ღუდუშაურს (ყაზბეგის საშ. სკოლა), ნ. ხოსრიშვილს (არშის რვაწლიანი სკოლა), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ლ. ოდიშვილს (გორისციხის რვაწლიანი სკოლა), გ. ჩეკაშვილს (ყაზბეგის საშ. სკოლა), გერმანული ენის მასწავლებელს ვ. ჟორჟიკაშვილს (კობის რვაწლიანი სკოლა); მათემატიკის მასწავლებელს ხ. ტუაევს (კობის რვაწლიანი სკოლა); ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებს: თ. ავსაჯანიშვილს და ა. მანთაშევას (სიონის საშ. სკოლა) და ბიოლოგიის მასწავლებელს ნ. კობიაშვილს (ყანობის რვაწლიანი სკოლა).

10. განათლების განყოფილებამ ა/წლის 15 ნოემბრამდე განიხილოს ეს ბრძანება რაიონის სკოლების მასწავლებელთა თათბირებზე და 1956 წლის 5 იანვრისათვის წარმოადგინოს წერილობითი მოხსენება ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**
2 ნოემბერი, 1955 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მითითებანი უცხო ენაში საკლასო და საკონტროლო წერითი სამუშაოების რაოდენობის შესახებ

ახალი სასწავლო გეგმის შესაბამისად უცხო ენაში საკლასო სავარჯიშო წერითი სამუშაოები უნდა ჩატარდეს შემდეგი რაოდენობით:

V კლასში—ყოველ გაკვეთილზე;
VI—„— —კვირაში 2—ჯერ;
VII— XI კლასებში — საჭიროების მიხედვით (2 კვირაში ერთხელ მაინც). ხოლო საკონტროლო წერითი სამუშაოები ჩატარდება:

მეოთხედები / კლასები	I	II	III	IV	სულ
V	1	2	2	2	7
VI	2	2	2	2	8
VII	2	1	2	1	6
VIII	2	1	2	1	6
IX	2	1	2	1	6
X	2	1	2	1	6
XI	2	2	2	1	7

სკოლების სამმართველოს
უფროსი **გ. საყვარელიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს

დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეებს

მასწავლებლის დროის ბიუჯეტის მოწესრიგების შესახებ ჩვენი ერთობლივი მომართვის მე-7 მუხლის „ა" პუნქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლაში მორიგეობა მასწავლებელთა შორის უნდა განაწილდეს ძირითადად მათი სასწავლო დატვირთვის შესაბამისად იმ დღეებში, როცა ცხრილით გაკვეთილების მეტი რაოდენობა აქვთ, ბევრგან არასწორად არის გაგებული. სკოლების მასწავლებელთა მორიგეობას ამგვარად აწესებენ არა ძირითადად, არამედ ყველა შემთხვევაში და ასეთი მორიგეები არა თუ სკოლის ეზოში არამედ დერეფნებშიც კი ვერ ახორციელებენ სათანადო კონტროლს მოსწავლეთა ყოფაქცევაზე. ეს ფაქტიურად ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავს ამ ღონისძიებას და იწვევს დისციპლინის დაცემას მოსწავლეთა შორის.

შეუწყნარებლად ვთვლით რა ასეთ მდგომარეობას გავალებთ უზრუნველჰყოთ სკოლებში მასწავლებელთა მორიგეობის იმგვარად მოწესრიგება, რომ დასვენების დროს არც ერთ წუთს არ იყვნენ მოსწავლეები სკოლის ეზოში, დერეფნებში და სხვ. მორიგე მასწავლებელთა და უფროს პიონერხელმძღვანელთა მეთვალყურეობის გარეშე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე
ლ. მაღლაფერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1845

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 16 ნოემბერი

ადიგენის, გარდაბნის, დუშეთის, სამტრედიისა და წითელწყაროს რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში ადიგენის, გარდაბანის, დუშეთის, სამტრედიისა და წითელწყაროს რაიონებში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

არ არის მოწესრიგებული სკოლის მიკრორაიონის მიხედვით ბავშვთა აღწერა და სასოფლო საბჭოს მეკომურთა სიებთან შედარება. ადგილებზე არ წარმოებს სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა. წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის მიკრორაიონში გასულ წელს აღრიცხული იყო პირველი კლასის ასაკის 40 ბავშვი, ფაქტიურად 1/IX პირველ კლასში მიღებულ იქნა 120 ბავშვი. მიმდინარე სასწავლო წელს რაიონის სკოლებს გეგმასთან შედარებით 160 ბავშვი დააკლდა სამტრედიის, დუშეთისა და ადიგენის რაიონების სკოლებიდან მოსწავლეთა დიდი რაოდენობაა განთესილი. გარდაბანის რაიონის ორი საშუალო და ოთხი რვაწლიანი სკოლის მიკრორაიონში 90 ბავშვია სკოლის გარეთ დარჩენილი. ამ რაიონში მოსწავლეები დიდი რაოდენობით აცდენენ გაკვეთილებს, ასე, მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წლის პირველ დღეს რაიონის სკოლების 4294 მოსწავლიდან მეცადინეობაზე არ გამოცხადებულა 1764 მოსწავლე. ადიგენისა და სამტრედიის რაიონებში სუსტია მუშაობა მეორეწლიან მოსწავლეებთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა განთესვას.

ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც სკოლის ხელმძღვანელობა აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარების ნაცვლად მიმართავს

შიშველ ადმინისტრირებას, მაგალითად, ადიგენის რაიონის უფეს საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. კ. ყვავაძემ გასულსა და მიმდინარე სასწავლო წელს დისციპლინის დარღვევისათვის 9 მოსწავლე გარიცხა. გარდა ამისა, მიმდინარე წლის 29/IX ერთი ბრძანებით გარიცხა 12 ასაკგადაცილებული მოსწავლე.

დუშეთის რაიონში არასაკმარისი რაოდენობითაა მოწყობილი ინტერნატები, ხოლო გარდაბნის რაიონში ინტერნატი კეთილმოუწყობელია.

ადიგენისა და გარდაბნის რაიონების რიგ სკოლებში ზამთრისათვის სათბობი არ არის მიტანილი საჭირო რაოდენობით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ადიგენის, გარდაბნის, დუშეთის, სამტრედიისა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიმდინარე სასწავლო წლის II მეოთხედში შეამოწმონ თითოეული სკოლის მიკრორაიონში სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვის მდგომარეობა, შეადარონ იგი მეკომურთა სიებს, შედეგები წარუდგინონ რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს განსახილველად და სათანადო ღონისძიებების გასატარებლად;

ბ) მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლის კურსის დამთავრებამდე მოსწავლეთა მთელი კონტინგენტის შენარჩუნებისათვის და აღკვეთონ არასაპატიო მიზეზით სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევები;

გ) დაავალონ სკოლების დირექტორებს მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები განიხილონ პედაგოგიური საბჭოს მორიგ სხდომებზე, დასახონ და გაატარონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ყველა მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრების უზრუნველყოფას;

დ) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა მეორეწლიან მოსწავლეებთან;

ე) კონტროლისა და დახმარების გაძლიერებით გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და სკოლის პრაქტიკაში აღკვეთონ შიშველი ადმინისტრირების შემთხვევები;

ვ) წარმოადგინონ განათლების სამინისტროში დასაბუთებული მოთხოვნები და წინადადებები მოსწავლეთა ინტერნატების გახსნის შესახებ;

2. სკოლების სამმართველომ სისტემატურად შეამოწმოს 43
ბრძანების შესრულების მიმდინარეობა.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კო-
ლეგიის 1955 წლის 11 ნოემბრის დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1846

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 16 ნოემბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. I—II—III კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 13.477.000 მანეთიდან 1 ოქტომბრისათვის ათვისებულია 13.348.900 მან. ამასთან ერთად, ცალკეული ობიექტების მშენებლობა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს და წლიური გეგმის შესრულება საფრთხის წინაშე დგას. ასე, მაგალითად: ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონში № 103 საშუალო სკოლის მშენებლობა არ არის დამთავრებული, აუთვისებელია 112.000 მან; ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკოლაზე ახალი ოთახების მიშენებისათვის მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 550.000 მან; იმის გამო, რომ ეს მშენებლობა თავიდანვე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა, აღნიშნული თანხა 200.000 მანეთამდე იქნა შემცირებული. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ აუთვისებელია 53.000 მანეთი და მუშაობა შეჩერებულია. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის შემაერთებელი კორპუსის მშენებლობისათვის გათვალისწინებული 400.000 მანეთიდან მხოლოდ 148.000 მანეთია ათვისებული, მუშაობა აქაც თითქმის შეჩერებულია; კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამ ობიექტზე გათვალისწინებული 400.000 მანეთიდან ათვისებულია 160.800 მანეთი. მუშაობა ახლაც არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს.

არ არის დამთავრებული გასულ წელს დარჩენილი სამუშაოები საშუალო სკოლების მშენებლობაზე (ქუთაისისა და გრიშაშვილის ქუჩები). ამ სამუშაოების შესრულების ვადა იყო II კვარტალი.

ქ. თბილისში ყველა ობიექტის მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტი (მმართველი ამხ. ჩიტაიშვილი).

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის, ს. ხეთაგუროვის რვაწლიანი სკოლისა და პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის შენობების მშენებლობა. (მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო № 3 ტრესტი, მმართველი—ამხ. ოთარაშვილი). სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობაზე გათვალისწინებული 200.000 მანეთიდან ათვისებულია 80.000 მან. სოფ. ხეთაგუროვის რვაწლიანი სკოლის მშენებლობისათვის გათვალისწინებული 300.000 მანეთიდან—190.000 მანეთი. შესრულებული სამუშაოები (კედლის წყობა) დაბალი ხარისხისაა; პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის მშენებლობის დამთავრებისათვის გათვალისწინებული 836. 000 მანეთიდან, ათვისებულია 408.000 მან. ამ ობიექტის მშენებლობის დამთავრება საფრთხის წინაშეა.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე წულუკიძის რაიონის სოფ. მათხოჯის საშუალო სკოლის მშენებლობა. (მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტი—მმართველი ამხ. მაღრაძე).

ზოგიერთი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებები არ უწევენ კონკრეტულ დახმარებას მშენებელ ორგანიზაციებს.

1954 წელს დამთავრებული სასკოლო შენობები ქ. თბილისში (ქუთაისისა და კომინტერნის ქუჩებზე, აგრეთვე 37-ე აზერბაიჯანული სკოლის შენობაზე მიშენებული ახალი საკლასო ოთახები, ლენინის რაიონში აგებული საბავშვო ბაღი) გადაცემულია საექსპლოატაციოდ მიღების აქტის გაფორმების გარეშე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ეთხოვოს ქარელის, ადიგენის და ცხაკაიას რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ყოველდღიური კონტროლი და დახმარება გაუწიონ სოფ. რუისის საშუალო, სოფლების

ქიქინეთის, ყარათუბნისა და ჩორჩანის დაწყებითი, სოფ. ლეძაძის საშუალო სკოლების მშენებლობის მწარმოებლებს, რათა უახლოეს დროში უზრუნველყოფილ იქნეს ამ შენობების მშენებლობის დასრულება თავრება.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრს ამხ. გ. ა. ჯაბუას დაავალოს № 1, 3 და 4 ტრესტების მმართველებს ამხ. ჩიტაიშვილს, ოთარაშვილს და მაღრაძეს წლის ბოლომდე უზრუნველჰყონ გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება და თანხების ათვისება.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს: ა) ნება დაერთოს განათლების სამინისტროს აუთვისებელი თანხები გადაანაწილოს სხვა ობიექტებზე;

ბ) დაავალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს არ დაუშვან ახალი სასკოლო შენობის ექსპლოატაციაში გადაცემა დადგენილი წესით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გარეშე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 4 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 1628—სკოლებში ჰიგიენის საკითხების სწავლებისა და მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . 3
2. ბრძანება № 1674—საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1955/56 სასწავლო წლის შედეგების შესახებ 7
3. ბრძანება № 1783—საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ 10
4. ბრძანება № 1797—ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 13
5. მითითებანი უცხო ენაში საკლასო და საკონტროლო წერითი სამუშაოების რაოდენობის შესახებ 21
6. განმარტება მასწავლებლის დროის ბიუჯეტის მოწესრიგების შესახებ . . . 22
7. ბრძანება 1845—ადიგენის, გარდაბნის, დუშეთის, სამტრედიისა და წითელწყაროს რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების შემოწმების შედეგების შესახებ 23
8. ბრძანება № 1846—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ . 26

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე

ტექრედაქტორი პ. გუნიავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28 XII-55 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2,9, სააღრიცხვო—1,17, საავტორო—1,1.

უე08862. ტირაჟი 5000. შეკვ. № 2123.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.